RELIGIOUS POLICY OF MIKHAIL GORBACHEV (1985-1991)

მიხეილ გორბაჩოვის რელიგიური პოლიტიკა (1985-1991 წწ.)

ETER BOKELAVADZE
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities
PhD student in History,
1, Chavchavadze ave. Tbilisi, Georgia
+598 215350, eter.bokelavadze@tsu.ge
https://orcid.org/0000-0001-5497-7915

Abstract: The article considers the reign of the General Secretary of the Central Committee of the Communist Party of the Soviet Union and later the President, Mikhail Gorbachev, and his religious policy, main goals and aspects, "Religious perestroika" and its consequences.

M. Gorbachev's religious policy was characterized by different trends at different stages of his rule, and each of them is extremely interesting. Based on the research, we conditionally divide it into three stages:

Stage I (1985-1986) - incumbent government continues religious course of its predecessors. Religion is still considered to be an opponent of the communist party and its being persecuted.

Stage II (1987 -1988) – M. Gorbachev launches so-called "perestroika", what obviously, had an effect on the religion, however, in a segregation form. In particular, positive changes concerned mainly Russian Orthodox Church – the main one in the Soviet Union, while non-Russian and non-Orthodox churches still had to exist in restrictions.

Stage III (1988 - 1991) – Under the influence of the Western world and particularly, the United States of America and the Vatican, "religious perestroika" spread to other Christian (Catholic and Protestant) churches throughout the Soviet Union.

In the work, we have also covered the main trends and stages of "religious perestroika". So, for example: if at the initial stage it used to envisage the rehabilitation of those, repressed on religious grounds, stopping of discreditation, returning of churches and monasteries to Russian Orthodox Church and other measures, at the next stage the regulation of relations with non-Orthodox communities begins. However, all this did not provide for the safety of religious organizations or religious communities, since changes were not made in the legislative framework of the Soviet Union. The last stage of "religious perestroika" was characterized with legislative changes, when laws on freedom of conscience and religion have been passed.

By all means our paper does not pretend to exhaust the issue, however, we think that this research will contribute to the further study of the Soviet past, religious politics or church history.

Keywords: Soviet Union; Mikhail Gorbachev; religion; politics; "Perestroika"; Russian Orthodox Church; USA; The Vatican.

ეთერ ბოკელავაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი,
საქართველო, თბილისი, ი. ჭავჭავაძის 1,
+598 215350, eter.bokelavadze@tsu.ge
https://orcid.org/0000-0001-5497-7915

აბსტრაქტი: სტატიაში განხილულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცკ-ის გენერალური მდივნის და შემდგომში პრეზიდენტის, მიხეილ გორბაჩოვის მმართველობა და მისი რელიგიური პოლიტიკა, ძირითადი მიზნები და ასპექტები, „რელიგიური პერესტროიკა“ და მისი შედეგები.

მ. გორბაჩოვის რელიგიური პოლიტიკა, მისი მმართველობის სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებული ტენდენციებით ხასიათდებოდა და თითოეული მათგანი უაღრესად საინტერესოა. კვლევის საფუძველზე, მას პირობითად, სამ ეტაპად ვყოფთ:

I ეტაპი (1985-1986 წწ.) - მოქმედი ხელისუფლება აგრძელებს წინამორბედთა კურსს რელიგიის სფეროში. რელიგია კვლავ კომუნისტური პარტიის ოპონენტად აღიქმება და მიმდინარეობს მისი დევნა.

II ეტაპი (1987 -1988 წწ.) – მ. გორბაჩოვი იწყებს ე.წ. „გარდაქმნას“, რაც თავისთავად, აისახა რელიგიის სფეროზე, თუმცა, სეგრეგაციული სახით. კერძოდ, პოზიტიური ცვლილებები შეეხო ძირითადად საბჭოთა კავშირის მთავარ - რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას, ხოლო არარუსულ და არამართლმადიდებლურ ეკლესიებს კვლ

ავ შეზღუდულ პირობებში უწევდათ არსებობა.

III ეტაპი (1988 - 1991 წწ.) – დასავლური სამყაროს და კონკრეტულად, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ვატიკანის გავლენით, რელიგიური პერესტროიკა“ გავრცელდა საბჭოთა კავშირში მოქმედ სხვა ქრისტიანულ (კათოლიკურ და პროტესტანტულ) ეკლესიებზეც.

ნაშრომში გაშუქებული გვაქვს თავად „რელიგიური გარდაქმნის“ ძირითადი მიმართულებები და ეტაპებიც. ასე, მაგალითად: თუ კი საწყის ეტაპზე იგი რელიგიური ნიშნით რეპრესირებულთა რეაბილიტაციას, დისკრედიტაციის შეწყვეტას, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ეკლესია-მონასტრების დაბრუნებას და სხვა ღონისძიებებს ითვალისწინებდა, მომდევნო ეტაპზე იწყება არამართლმადიდებლურ თემებთან ურთიერთობის დარეგულირება. თუმცა, ეს ყოველივე რელიგიური ორგანიზაციებისა თუ მორწმუნე საზოგადოებისთვის არ ქმნიდა უსაფრთხო მოღვაწეობის გარანტიებს, ვინაიდან ცვლილებები არ იყო შესული საბჭოთა კავშირის საკანონმდებლო ბაზაში. „რელიგიური პერესტროიკის“ ბოლო ეტაპი სწორედ საკანონმდებლო ცვლილებებით

აღინიშნა, როდესაც მიღებულ იქნა კანონები სინდისისა და რელიგიის თავისუფლების შესახებ.

ბუნებრივია, ჩვენს ნაშრომს არ აქვს საკითხის ამოწურვის პრეტენზია, თუმცა, ვფიქრობთ, მოცემული გამოკვლევა ხელს შეუწყობს საბჭოთა წარსულის, რელიგიური პოლიტიკისა თუ ეკლესიის ისტორიის მიმართულებით კვლევების შემდგომ განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: საბჭოთა კავშირი; მიხეილ გორბაჩოვი; რელიგია; პოლიტიკა; „პერესტროიკა“; რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია; აშშ; ვატიკანი.

შესავალი: საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკა დასავლურ, რუსულ და ქართულ სამეცნიერო სივრცეში განსაკუთრებული აქტუალობით სარგებლობს. ევროპულ და რუსულ ისტორიოგრაფიაში თითქმის თანაბარი ყურადღება ეთმობა ვ. ლენინის, ი. სტალინის, ნ. ხრუშჩოვის, ლ. ბრეჟნევის, ი. ანდროპოვის, კ. ჩერნენკოსა და მ. გორბაჩოვის მმართველობის პერიოდის საკავშირო რელიგიური ორგანიზაციების საერთო მდგომარეობისა და ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობების კვლევას. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში კი საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკის მიმართულებით საკვლევ საკითხთა ქრონოლოგიური ჩარჩო ძირითადად, XX ს-ის 20-60-იანი წლებით შემოიფარგლება და უფრო კონკრეტულად კი, მისი ზედა ზღვარი ნ. ხრუშჩოვის მმართველობის ბოლო პერიოდით, კერძოდ, 60-იანი წლების პირველი ნახევრით განისაზღვრება. 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან - საბჭოთა სახელმწიფოს დაშლამდე, მის ლიდერთა მიერ რელიგიის სფეროში გატარებული კურსი კი სამწუხაროდ, ბოლო წლებამდე პრაქტიკულად შეუსწავლელი იყო.

ჩვენ უკვე მივუძღვენით ნაშრომები ლ. ბრეჟნევის, ი. ანდროპოვისა და კ. ჩერნენკოს რელიგიურ პოლიტიკას. ამჯერად კი, მიზნად ვისახავთ მათი პოლიტიკური მემკვიდრის, მ. გორბაჩოვის მიერ რელიგიურ თემებთან და ორგანიზაციებთან ურთიერთობაში შემუშავებული სტრატეგიის, მისი ძირითადი ასპექტების, გატარებული რეფორმებისა და მიღებული შედეგების გაშუქებას.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მ. გორბაჩოვის რელიგიური პოლიტიკა წინამორბედებთან შედარებით, გაცილებით ჰუმანურ, დემოკრატიულ ხასიათს ატარებდა. თუმცა, ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ ცხადჰყო, რომ აღნიშნული ტენდენცია მისი მმართველობის მეორე და მესამე ეტაპებთანაა დაკავშირებული და პირველ ეტაპზე რადიკალურად განსხვავებულ სურათს ვხედავთ. მოცემულ ნაშრომში განვიხილავთ საბჭოთა ლიდერის მმართველობის ეტაპებს და თითოეული მათგანის მახასიათებლებს რელიგიასთან ურთიერთობის სფეროში. აქვე დავძენთ იმას, რომ საბჭოთა კავშირში არსებული ფართო რელიგიური სპექტრისა და ჩვენი კვლევითი ინტერესების გათვალისწინებით, წინამდებარე ნაშრომი მხოლოდ ქრისტიანული ეკლესიის (მართლმადიდებლური, კათოლიკური, პროტესტანტული) მდგომარეობის შესწავლას ეძღვნება.

მეთოდები: ნაშრომი ეყრდნობა ისტორიულ შემეცნებით, ისტორიულ-ტიპოლოგიური, ისტორიულ-სტრუქტურული, კონტენტ-ანალიზის, ბიოგრაფიული და შედარებითი კვლევის მეთოდებს, რაც საკითხის ირგვლივ არსებული საისტორიო წყაროების მრავალმხრივი, კომპლექსური შესწავლისა და შესაბამისი დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს.

შედეგები და მსჯელობა: კონსტანტინე ჩერნენკოს გარდაცვალების შემდეგ, საბჭოთა კავშირის ისტორიაში დასრულდა ერთგვარი „გერონტოკრატია“ და დაიწყო სრულიად ახალი, მნიშვნელოვანი ცვლილებების ეტაპი, რომელიც სახელმწიფოს წინაშე არსებული იდეოლოგიური, სოციალური, ეკონომიკური და სამხედრო კრიზისით იყო განპირობებული. იმ კრიზისებით, რომლის დაძლევაც კ. ჩერნენკოს მმართველობის პერიოდში შეუძლებელი გახდა და რომელმაც საბჭოთა სისტემა დიდ ჩიხში შეიყვანა. სისტემის კოლაფსი დიდი ხნის მომწიფებული იყო. საჭირო იყო ახალი ძალა, რომელიც სახელმწიფოს მოცემული მდგომარეობიდან გამოიყვანდა. ასეთ ძალად პარტიამ კ. ჩერნენკოზე ბევრად ახალგაზრდა, საკმაოდ ენერგიული, ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული მიხეილ გორბაჩოვი შეარჩია.

მიხეილ გორბაჩოვი პარტიის რიგებში 1952 წლიდან იყო გაწევრიანებული. 50-იან წლებში მისი კარიერა პროპაგანდისა და აგიტაციის სფეროს უკავშირდებოდა. (მუშაობდა ალკკ სტავროპოლის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად, კომკავშირის სამხარეო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილედ და სხვ.). 70-იან წლებში ის უკვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრია, 1980 წლიდან კი ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი. იყო აგრეთვე, სსრ კავშირის მე-8-11 მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, კავშირის საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე და რუსეთის სფსრ მე-10-11 მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. („კომუნისტი“, 1985, N60: 1) ყველა პოზიციაზე თავი გამოიჩინა აქტიურობით, ენერგიულობით, ორგანიზატორული ნიჭით და რაც მთავარია, პარტიული იდეოლოგიისადმი ერთგულებით. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, 1985 წლის 11 მარტს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმმა იგი გენერალურ მდივნად აირჩია. როგორც ჩანს, პარტია იმედოვნებდა, რომ გორბაჩოვი შეძლებდა ქვეყნის საშინაო და საგარეო გამოწვევებთან გამკლავების ეფექტური სტრატეგიების შემუშავებასა და განხორციელებას, ცხადია, პარტიული იდეოლოგიისა და კურსის დაცვით.

გორბაჩოვის მმართველობის პერიოდი რუსულ ისტორიოგრაფიაში, პირობითად, სამ ძირითად ეტაპად იყოფა და თითოეული მათგანი საკმაოდ მნიშვნელოვანი მახასიათებლით გამოირჩევა. (არსებობს პერიოდიზაციის ოთხეტაპიანი ვერსიებიც, თუმცა, ჩვენ ყველაზე გავრცელებულს ვეყრდნობით).

I ეტაპი (1985-1986 წწ.) - გორბაჩოვის პოლიტიკა წინამორბედი ლიდერების კურსის ფაქტობრივი გაგრძელებაა. რეფორმირება კვლავ ავტორიტარული რეჟიმის პირობებში მიმდინარეობს.

II ეტაპი (1987 წლის იანვარი -1989 წლის ივნისი) – „პერესტროიკა“ და სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, იდეოლოგიური სისტემის შეცვლა.

III ეტაპი (1989 წლის ივნისი - 1991 წლის დეკემბერი) - სისტემის მთავარი სტრუქტურების დემონტაჟი და საბჭოთა კავშირის დაშლა (Захаровский, Разинков, 2019: 182).

მმართველობის დასაწყისში გორბაჩოვის მთავარი საზრუნავი ჩიხში მყოფი სახელმწიფოს წინაშე მდგარი ყველაზე აქტუალური პრობლემების გადაჭრა იყო. თუმცა, ეკონომიკისა და სამხედრო სფეროში გატარებულმა ღონისძიებებმა საპირისპირო შედეგი გამოიღო. კრიზისი, შესუსტების ნაცვლად, უფრო გაძლიერდა და კულმინაციას მიაღწია 1986 წლის გაზაფხულზე, როდესაც ჩერნობილში, ატომურ სადგურში მოხდა დიდი ბირთვული ავარია. კატასტროფას ათასობით ადამიანის სიცოცხლე და მილიონობით ადამიანის

ჯანმრთელობა ემსხვერპლა. (მაცაბერიძე, 2023: 411). ჩერნობილის ტრაგედიამ მნიშვნელოვნად შეარყია საბჭოთა კავშირის იმიჯი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ. მმართველმა გუნდმა გაიაზრა, რომ საჭირო იყო დასავლეთთან ბირთვული იარაღის საკითხზე შეთანხმება და ზოგადად, საგარეო პოლიტიკაში გარკვეული კორექტურის შეტანა. აშშ-თან ურთიერთობაში პოზიტიური ცვლილებების განხორციელება გორბაჩოვმა ჯერ კიდევ 1985 წელს სცადა, როდესაც ის ჟენევაში შეხვდა აშშ-ის პრეზიდენტს, რონალდ რეიგანს. აღნიშნული, სახელმწიფოებს შორის ურთიერთობაში მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო, იმის გათვალისწინებით, რომ 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების პირველ ნახევარში მათ შორის სრული კონფრონტაცია არსებობდა. 1983 წელს კი, აშშ-ის პრეზიდენტის მიერ საბჭოთა კავშირის „ბოროტების იმპერიად“ გამოცხადება სერიოზულ პრობლემებს ქმნიდა საბჭოთა სახელმწიფოს საერთაშორისო იმიჯის რეაბილიტაციისთვის. 1985 წლის ჟენევის შეხვედრაზე გორბაჩოვმა გამოთქვა შეთანხმებასა და დათმობებზე მზადყოფნა, თუმცა, პრინციპულ საკითხებზე განსხვავებული პოზიციების გამო, მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა ვერ მოხერხდა („კომუნისტი“, 1985, N269: 1).

ამგვარად, მმართველობის პირველ ეტაპზე ეკონომიკურ, სამხედრო და საგარეო პოლიტიკის სფეროში გადადგმულმა ნაბიჯებმა სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, ვფიქრობთ, მაინც იყო ის, რომ ხელისუფლება პოლიტიკურ ცვლილებებს იდეოლოგიის დონეზე არ აპირებდა და წინამორბედთა კურსით ხელმძღვანელობდა.

წინამორბედთა კურსი გავრცელდა რელიგიის სფეროზეც. გასაკვირი არ არის, ვინაიდან სახელისუფლებო პოლიტიკა ამ სფეროებში მჭიდროდ იყო დაკავშირებული ერთმანეთთან. ისტორიოგრაფიაში ფართოდ გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, მ. გორბაჩოვის მმართველობის პერიოდი საბჭოთა კავშირის ეკლესიების ისტორიაში ყველაზე პოზიტიურ ეპოქას წარმოადგენდა, იმ თვალსაზრისით, რომ შეწყდა რელიგიის დევნა და რელიგიურ ორგანიზაციებზე ზეწოლა, ანტირელიგიური პროპაგანდა, სამღვდელო პირებმა და მორწმუნეებმა მიიღეს შედარებით მეტი თავისუფლება და სხვ. თუმცა, ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ აღნიშნული მოსაზრება შეიძლება მ. გორბაჩოვის მმართველობის მეორე ეტაპიდან შემდგომ პერიოდს დავუკავშიროთ. რადიკალურად განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს მისი მმართველობის დასაწყისში (1985-1986 წწ.)

ჯერ კიდევ 1985 წლის აპრილში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე მ. გორბაჩოვი პარტიის წევრებს მოუწოდებდა ყოვლისმომცველი იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერებისკენ. მოგვიანებით მიღებული სკკპ პროგრამაც შედგენილი იყო ძველი ათეისტური პრინციპით და ქადაგებდა „მეცნიერულ-ათეისტური მსოფლმხედველობისა და და „ახალი საბჭოთა რიტუალებისა და წეს-ჩვეულებების ფართოდ გავრცელებას რელიგიური ცრურწმენების დასაძლევად“ (Горшкова, 2001:46).

როგორც ვხედავთ, პარტიის პროგრამა 1985 წლისთვისაც რელიგიის სფეროში კვლავ „რელიგიური ცრურწმენების“ დაძლევაზეა ორიენტირებული, რაც, თავისთავად, ანტირელიგიური კამპანიის გაგრძელებას გულისხმობდა, ათეისტური იდეოლოგიის გაძლიერების ხარჯზე.

1986 წლის სექტემბერში გაზეთმა „Правда Востока“ გამოაქვეყნა სტატია, სათაურით „Против религиозного дурмана“, რომელიც ეძღვნებოდა რელიგიური მორალისა და ტრადიციების მავნებლობას და შეუსაბამობას კომუნისტურ იდეალებთან და სოციალისტურ

მორალთან. უფრო მეტიც, სტატიაში რელიგიური ტრადიციები ბოროტებად იყო გამოცხადებული და ათეისტებს მოუწოდებდა აქტიური მოქმედებისკენ: „არის ტრადიციები და რიტუალები, რომლებიც ეწინააღმდეგება თანამედროვე ცხოვრებას, ჩვენი მორალის მოთხოვნებს... მოძველებული ტრადიციები, რელიგიური ბურანი. ყველა, სამწუხაროდ, ვერ პოულობს ძალას ამ ბოროტებასთან საბრძოლველად. როგორც ჩანს, ზემოქმედებას ახდენს მშობლების ავტორიტეტისა და გავლენის ძალა, ახალგაზრდების იდეოლოგიური პოზიციების არასტაბილურობა და მათი მცირე ცხოვრებისეული გამოცდილება... ათეისტების ამოცანაა, მხარი დაუჭირონ ხალხის ჭეშმარიტ ტრადიციებს და მტკიცედ განთავისუფლდნენ ყველაფრისგან, რაც ეწინააღმდეგება სოციალისტური მორალისა და კომუნისტური იდეალების ნორმებს (Правда Востока. 1986, N201, გვ. 1).

_1986 წლის ოქტომბერში სკკპ ცკ-ს მდივანმა, იგორ ლიგაჩოვმა სოციალურ მეცნიერებათა წარმომადგენლების ჯგუფს შეახსენა რელიგიასთან ბრძოლის გაგრძელების აუცილებლობა. ერთი თვის შემდეგ კი, გორბაჩოვმა ტაშკენტში სიტყვით გამოსვლისას მოუწოდა ხალხს რელიგიასთან "გადამწყვეტი და უკომპრომისო" ბრძოლისაკენ (Anderson, 1994/2002:139), (Ramet, 2005: 34). რელიგიასთან იდეოლოგიურ ბრძოლას ემსახურებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილება და ე.წ. კონტრპროპაგანდის კომისიები, რომლებიც შექმნილი იყო რაიონულ კომიტეტებსა და მთავარ იდეოლოგიურ დაწესებულებებში (Штриккер, 1995: 284). ანტირელიგიურ კამპანიას თან ახლდა რეპრესიებიც. გრძელდებოდა რელიგიურ ინსტიტუტებზე აქტიური კონტროლი; ხელისუფლება 1986 წელს აპატიმრებდა იმ ადამიანებს, რომლებიც აპროტესტებდნენ ოფიციალურ რელიგიურ პოლიტიკას (Anderson, 1994/2002: 139).

მოხმობილი წყაროებისა და ინფორმაციის საფუძველზე, შეგვიძლია თავისუფლად ვთქვათ, რომ 1985-1986 წლებისთვის საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკა კვლავ დისკრიმინაციული და რეპრესიულია. გრძელდება მ. გორბაჩოვის წინამორბედთა კურსი, რაც სახარბიელოს არაფერს მოასწავებდა. გამოცდილებამ აჩვენა, რომ საბჭოთა ლიდერების მცდელობა, დაბრუნებოდნენ ლენინურ პრინციპებს და შემოებრუნებუნათ მიმდინარე პროცესების კურსი, კრახით დასრულდა. მიუხედავად ფართოდ გაშლილი ათეისტური პროპაგანდისა და რელიგიური თემებისა და ორგანიზაციების მაქსიმალური შეზღუდვისა, 80-ინი წლების შუა ხანებისთვის, კვლავ იზრდებოდა ადამიანთა ინტერესი რელიგიისადმი, რაც უკვე შეუქცევად ხასიათს ატარებდა.

ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობებში პოზიტიური ცვლილებები მ. გორბაჩოვის მმართველობის მეორე ეტაპიდან (1987 წლიდან) იწყება. ისმის კითხვები: რა შეიძლება გამხდარიყო ცვლილებების მიზეზი? რამ აიძულა ხელისუფლება, წასულიყო კომპრომისზე და კონფრონტაცია კოლაბორაციით შეეცვალა? კვლევის შედეგად გამოვყოფთ 4 ძირითად მიზეზს:

1) დასავლეთთან და კონკრეტულად, აშშ-თან დაძაბული ურთიერთობის მოგვარებისა და შეთანხმების აუცილებლობა,
2) ჩერნობილის ტრაგედია,
3) საზოგადოების მზარდი ინტერესი რელიგიისადმი,

4) რომის პაპის, იოანე-პავლე II - ის ანტიკომუნისტური მოღვაწეობა და ბრძოლა სოციალისტური ბანაკის ტერიტორიაზე კათოლიციზმის აღორძინებისა და პოლონეთის დამოუკიდებლობისათვის.

განვიხილოთ თითოეული მათგანი.

1) აშშ-თან დაძაბული ურთიერთობის მოგვარებისა და შეთანხმების აუცილებლობა

აშშ-თან ურთიერთობა მოცემულ პერიოდში საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ საკვანძო საკითხს წარმოადგენდა, იმდენად, რამდენადაც იგი პირდაპირ კავშირში იყო ქვეყნის როგორც საშინაო მდგომარეობასთან (განსაკუთრებით, ეკონომიკის სფეროსთან) და თავდაცვისუნარიანობასთან, ისე საერთაშორისო ასპარეზზე შერყეული ავტორიტეტისა და იმიჯის რეაბილიტაციასთან. აშშ-ის საგარეო პოლიტიკა პირდაპირ აისახებოდა სსრკ-ის საერთო მდგომარეობაზე.

როგორც ვნახეთ, 1985 წლის ჟენევის შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა. თუმცა, მ. გორბაჩოვი არ შეეგუა ბედს. 1986 წლის 11-12 ოქტომბერს ის კვლავ შეხვდა რეიგანს ისლანდიის დედაქალაქ რეიკიავიკში. შეხვედრაზე განსახილველ ძირითად საკითხებს წარმოადგენდა: საშუალო რადიუსის მქონე ბირთვული შეიარაღება, ანტიბალისტიკური შეთანხმება, თავდაცვითი კოსმოსური იარაღი, ბირთვული ცდები და სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვა (Iceland Chronology..., 2016: 4-7). გარდა ამისა, შეხვედრის ჩანაწერის საარქივო დოკუმენტიდან ირკვევა, რომ პრეზიდენტმა რეიგანმა გენერალური მდივნის წინაშე წამოჭრა ადამიანის უფლებათა, თავისუფალი მედიისა და მაუწყებლობის საკითხები და რაც ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა, სსრკ-ში რელიგიების დევნის პრობლემა (Memorandum of Conversation..., 1986 :2). მან გორბაჩოვს გადასცა მასალების პაკეტი ებრაელთა ემიგრაციის, გაყოფილი ოჯახების, ორმაგი მოქალაქეების და სხვათა შესახებ, სახელების სიების, გრაფიკების, სქემების და სასაუბრო საკითხების ჩათვლით. თუმცა, ამ უკანასკნელზე გორბაჩოვის პასუხი იყო ის, რომ თავადაც განიცდიდა შეშფოთებას აშშ-ში ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული მდგომარეობის გამო (Iceland Chronology..., 2016: 8).

ადამიანის უფლებათა და რელიგიის სფეროზე პრეზიდენტმა სასურველი პასუხი ვერ მიიღო, რაც ბუნებრივია, ვინაიდან საბჭოთა ლიდერს არ ჰქონდა მზაობა, არა თუ კომპრომისის, არამედ პოზიციების გადასინჯვაზე ღიად საუბრის. ორი სახელმწიფოს ლიდერთა შორის უთანხმოებამ იჩინა თავი სხვა საკითხებშიც. სტრატეგიული შეიარაღებისა და საშუალო მოქმედების რადიუსის ბირთვული რაკეტების თემაზე მხარეებმა შეძლეს შეთანხმება. თუმცა, ანტიბალისტიკური შეთანხმებისა და ბირთვული ცდების საკითხი გადაუჭრელი დარჩა. რეიკიავიკის შეხვედრიდან მ. გორბაჩოვი იმედგაცრუებული დაბრუნდა. ნათელი გახდა, რომ კომპრომისის გარეშე კონსენსუსი წარმოუდგენელი იყო.

ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა რეიკიავიკის შეხვედრის როლი და გავლენა საბჭოთა ხელისუფლების რელიგიურ პოლიტიკაზე. ვფიქრობთ, საბჭოთა ლიდერი კარგად აცნობიერებდა იმ ფაქტს, რომ დასავლეთი და კონკრეტულად, აშშ ზედმიწევნით კარგად იყო ინფორმირებული სსრკ-ში რელიგიური ორგანიზაციებისა და თემების საერთო მდგომარეობის შესახებ და როგორც წარსულში, ისე ახლაც იყენებდა და გამოიყენებდა მას

სსრკ-ს კომპრომეტირებისთვის. რეიკიავიკის შეხვედრაზე, რელიგიის საკითხის წამოჭრა აშშ-ს პრეზიდენტის მხრიდან, ვფიქრობთ, იყო ერთ-ერთი ბერკეტი, შეთანხმების პროცესში, თუნდაც სამხედრო სფეროში სასურველი შედეგის მიღწევისთვის. საბჭოთა ხელისუფალის მხრიდან რელიგიასთან კომპრომისის შემთხვევაში კი სამომავლოდ შესაძლებელი იქნებოდა ანტისაბჭოურად განწყობილი ძალების წარმატებით გააქტიურება. მხედველობაში გვაქვს ჩაგრული რელიგიური ორგანიზაციები და პირები, განსაკუთრებით ისინი (მაგ. კათოლიკური, პროტესტანტული), ვინც საბჭოთა კავშირის არსებობის განმავლობაში ორმაგ დევნას განიცდიდნენ ხელისუფლებისგან. ერთი - ათეისტური იდეოლოგიის გამო, მეორე კი უცხოური ძალების აგენტურის სტიგმით. ხსენებული სტიგმა ქრისტიანობის წიაღში მეტწილად, კათოლიკეებსა და პროტესტანტებს უკავშირდებოდა, ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლება მათ დასავლეთის აგენტებად აღიქვამდა და განსაკუთრებული სიმკაცრით ეპყრობოდა. თუმცა, არც მართლმადიდებელნი იყვნენ აღნიშნულისგან თავისუფალნი. ანტირელიგიური პოლიტიკა ვრცელდებოდა როგორც ემიგრანტ რუს მართლმადიდებლებზე, ისე არარუსულ მართლმადიდებელ ეკლესიებზეც, რომლებიც ღიად უჭერდნენ მხარს მათი სახელმწიფოების დამოუკიდებლობას.

რეიკიავიკის შეხვედრამ ნათლად წარმოაჩინა აშშ-ის უპირატესობა სსრკ-თან დაპირისპირებაში. კომპრომატების განეიტრალება აუცილებელი იყო, თუმცა, მაქსიმალური სიფრთხილით, ზემოხსენებული რისკების გათვალისწინებით. მიგვაჩნია, რომ მ. გორბაჩოვის რელიგიური პოლიტიკის ტრანსფორმაცია (ისევე, როგორც ცვლილებები სხვა სფეროებში), სწორედ რეიკიავიკის შეხვედრასთან არის დაკავშირებული.

2) ჩერნობილის ტრაგედია

1986 წლის აპრილში ჩერნობილში მომხდარმა აფეთქებამ უდიდესი დარტყმა მიაყენა საბჭოთა კავშირს. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება არ ასაჯაროებდა მომხდარის მიზეზებს, დეტალებსა და მსხვერპლის რეალურ რაოდენობას, კატასტროფა აშკარა იყო. მსხვერპლი მოჰყვა არა მხოლოდ აფეთებას, არამედ აფეთქების შემდგომ რადიაციასაც. კატასტროფას შეეწირა ადამიანების სიცოცხლე და ჯანმრთელობა, განადგურდა ფლორა და ფაუნა. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები და სხვ. ბოლო წლების გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ტრაგედია იმაზე ბევრად მასშტაბური იყო, ვიდრე ამას საბჭოთა ხელისუფლება აცხადებდა. მსხვერპლის გარდა, კატასტროფამ უდიდესი ზიანი მიაყენა საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკას, მის პოლიტიკურ იმიჯს. წარმოაჩინა მისი სუსტი მხარეები. ეკონომიკური პრობლემების გარდა, საბჭოთა მოქალაქისთვის ახლა ქვეყნის შიგნით ატომური უსაფრთხოებაც სერიოზული თავსატეხი გახდა. გაჩნდა მასობრივი შიში, რამაც გაზარდა როგორც ქვეყნის მოქალაქეების, ისე საერთაშორისო საზოგადოების უნდობლობა საბჭოთა ხელისუფლებისა და სახელმწიფოსადმი. საჭირო გახდა გადამჭრელი ზომების მიღება მაღალ პროფესიონალურ დონეზე. პირველ რიგში, იმისთვის, რომ ქვეყანა კრიტიკული მდგომარეობიდან გამოეყვანა და შემდეგ იმისთვის, რომ საზოგადოების ნდობა ბოლომდე არ დაეკარგა.

3) საზოგადოების მზარდი ინტერესი რელიგიისადმი

XX საუკუნის 60-70-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლება დიდ ყურადღებას უთმობდა მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას

რელიგიაზე, იმ კონტექსტით, რომ ქვეყანაში არსებობდა „რელიგიური კრიზისი“, იკლებდა მორწმუნეთა რიცხვი და შესაბამისად, რელიგიის სიცოცხლისუნარიანობა, მოქალაქეები ნელ-ნელა თავისუფლდებოდნენ რელიგიის გავლენისგან, რაც პოზიტიურად აისახებოდა მათ ქმედუნარიანობასა და ცხოვრების წესზე. თუმცა, 80-იანი წლების დასაწყისისთვის უკვე ნათელი გახდა, რომ ხელისუფლების მიერ საზოგადოებისთვის „შეთავაზებული“ ანალიზი ქვეყანაში არსებული რელიგიური მდგომარეობის შესახებ, აბსოლუტურად არარელევანტური და არაადეკვატური იყო. 80-იან წლებში მორწმუნეთა რიცხვი არა თუ შემცირებული, არამედ საგრძნობლად გაზრდილი იყო. იმ ადამიანებსაც კი, ვინც არ ეკუთვნოდა კონკრეტულ აღმსარებლობას, გააჩნდათ „დიდი თანაგრძნობა“ რელიგიის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება საჯაროდ არ აღიარებდა ოფიციალური იდეოლოგიის კრიზისს, საზოგადოების ნიჰილისტური დამოკიდებულება მის მიმართ და სოციალური აპათია უკვე მომწიფებული იყო. საზოგადოებამ გააცნობიერა, რომ „განვითარებული სოციალიზმისა“ და ათეისტური, კომუნისტური იდეალებისადმი რწმენამ ვერ მოიტანა პროგრესი, პირიქით, დროსთან ერთად მძიმდებოდა სოციალურ-ეკონომიკური ფონი და არც შექმნილი სიტუაციიდან ჩანდა რეალური გამოსავალი. კვლავ იზღუდებოდა ადამიანის უფლებები და ტოტალიტარული რეჟიმი სულს უხუთავდა ინდივიდების მისწრაფებებს; ახშობდა უკეთესი მომავლის სურვილს იმ ღირებულებებით, რომლებსაც არ იზიარებდა პარტია. სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებული იდეოლოგია ვეღარ პასუხობდა 80-იანი წლების ადგილობრივი თუ სრულიად საკავშირო სოციუმის მოთხოვნილებებს და ჯიუტად ცდილობდა ისტორიის შემობრუნებას ლენინის ეპოქისკენ. ღმერთწართმეული საზოგადოებისთვის ათეიზმი და კომუნიზმი ვეღარ წარმოადგენდა იმედს. შექმნილ სიტუაციაში, ადამიანებისთვის იმედის წყარო კვლავ რელიგია გახდა. მიუხედავად ღვთისმსახურთა დისკრედიტაციისა და მათი მიმართ განხორციელებული რეპრესიებისა, საზოგადოება ხედავდა ეკლესიის როლს არა მარტო ინდივიდების სულიერი ცხოვრების სფეროში, არამედ ერების ისტორიაშიც. მოცემულ პერიოდში, როცა ყოველგვარი ეროვნულის გამოვლინება „მავნე ნაციონალიზმად“ და საბჭოთა სახელმწიფოსთვის უდიდეს ბოროტებად მიიჩნეოდა, სწორედ ეკლესიების წიაღში ხდებოდა ეროვნული ტრადიციებისა და ღირებულებების დაცვა და შენარჩუნება (მაგ. ლიეტუვის, ლატვიის, საქართველოს ეკლესიები და სხვ.). ეკლესია იქცა ღმერთთან დაბრუნების, სულიერი გადარჩენის, ეროვნული იდენტობისა და ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნების გზად, რომლის ლოგიკური შედეგიც თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვება იქნებოდა.

4) რომის პაპის, იოანე-პავლე II-ის ანტიკომუნისტური მოღვაწეობა

70-იანი წლების მიწურულსა და 80-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირის ხელისუფლების წინაშე დიდ გამომწვევად იქცა ვატიკანი. ვატიკანის პოზიცია თავიდანვე ანტიკომუნისტური იყო, სსრკ-ის ათეისტური და ანტირელიგიური პოლიტიკის გამო. თუმცა, 70-იანი წლების მიწურულიდან იგი აქტიურად დაუკავშირდა ანტიკომუნისტურ პოლიტიკურ მოძრაობას და სერიოზულ საფრთხედ იქცა საბჭოთა ხელისუფლებისათვის. მხედველობაში გვაქვს 1978 წელს რომის პაპის ტახტზე პოლონელი კარდინალის - კაროლ ვოიტილას (იოანე-პავლე II) აღსაყდრება და მისი მხარდაჭერა „სოლიდარობისა“ და პოლონეთის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობისადმი. რთული მისახვედრი არ უნდა იყოს ის, თუ რას

ემსახურებოდა პოლონელი კარდინალისთვის მოღვაწეობის იმ ფართო ასპარეზის მიცემა, რასაც კათოლიკური სამყაროს სულიერი ლიდერის სტატუსი ითვალისწინებდა. ვფიქრობთ, ეჭვგარეშეა, ხსენებულ მოვლენებში აშშ-ის მონაწილეობაც.

ახლადარჩეულმა პოლონელმა პაპმა ძალიან მალევე დაიწყო ბრძოლა არა მხოლოდ კათოლიკური სარწმუნოების გადარჩენისა და განმტკიცებისთვის, არამედ პოლონეთის ეროვნული დამოუკიდებლობის მიღწევისთვის. XX ს-ის 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იან წლებში ის რამდენჯერმე ეწვია სამშობლოს. განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია მისი პირველი ვიზიტი (ახალ რანგში) 1979 წლის ივნისში. 9 დღიანი ვიზიტის ფარგლებში ის ატარებდა ღვთისმსახურებას, საჯარო გამოსვლებს, რომლებსაც მილიონობით პოლონელი ესწრებოდა. 2 ივნისს, ვარშავაში, გამარჯვების მოედანზე წარმოთქმულ სიტყვაში მან პოლონელ ხალხს მოუწოდა ეროვნული, რელიგიური ტრადიციების დაცვისა და თავისუფლებისათვის ბრძოლისკენ. მის ქადაგებაზე მოსახლეობა სკანდირებდა სიტყვებით: „ჩვენ გვინდა ღმერთი, ჩვენ გვინდა ღმერთი, გვინდა ღმერთი ოჯახში, გვინდა ღმერთი სკოლებში, გვინდა ღმერთი წიგნებში…" (Burger, 2021). პაპის ბიოგრაფის, ჯორჯ ვეიგელის სიტყვებით, ვიზიტმა წარმოაჩინა გადამწყვეტი ჭეშმარიტება: „პოლონეთი არ იყო კომუნისტური ქვეყანა, ეს იყო კათოლიკე ერი, შემოსილი კომუნისტური სახელმწიფოთი" (Weigel, 2004: 295).

მკვლევართა დიდი ნაწილი (ჯორჯ ვეიგელი, ჯონ ბარგერი და სხვ.) სწორედ პაპის ვიზიტს უკავშირებს მომდევნო წელს პოლონური პროფკავშირის - „სოლიდარობის" დაარსებას, რომელიც შემდგომში პოლონეთის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის წინამძღოლად იქცა. ცხადია, პროფკავშირის დაარსების ძირითადი საფუძველი ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი იყო, თუმცა, ვიზიარებთ რა მკვლევართა შეფასებას, მიგვაჩნია, რომ პაპის ვიზიტმა ნამდვილად მისცა ბიძგი რეჟიმის წინააღმდეგ პოლონელთა ბრძოლის გადასვლას ახალ, უფრო ფართომასშტაბურ და ორგანიზებულ ეტაპზე. მკვლევარ კონსტანტინე პლეშაკოვის შეფასებით, პოლონეთის წინა რევოლუციური მოძრაობების უმეტესობა სეკულარული იყო, მაგრამ „სოლიდარობა" ორიენტირებული იყო ქრისტიანული ჯვრის, ღვთისმშობლისა და სხვა რელიგიურ სიმბოლოებზე. 1981 წლის იანვარში მოძრაობის ლიდერი - ლეხ ვალენსა ეწვია რომს, შეხვდა პაპს და მიიღო მისი ოფიციალური აღიარება და მხარდაჭერა (Pleshakov, 2009: 112).

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია, რომ პოლონელთა ბრძოლის ხელშეწყობის საქმეში ვატიკანი მარტო არ ყოფილა. ის თანამშრომლობდა აშშ-თან. აშშ-ვატიკანის დაახლოების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარე „ცივი ომი" და მისგან შექმნილი გარემოებები იყო. ცხადია, ანტიკომუნისტური პოზიციებიც დიდ როლს ასრულებდა. მსოფლიო მშვიდობის საკითხის გარდა, მათ შორის განხილვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საგანს პოლონეთში არსებული სიტუაცია და მისი მთავრობის რესტრუქტურიზაცია წარმოადგენდა. სწორედ მათმა ძალისხმევამ და პარტნიორობამ შეძლო მოძრაობა „სოლიდარობის" გადარჩენა (Perrone, 2012:44-45).

აშშ-ვატიკანის ალიანსი ცხადია არ გამოჰპარვიათ სსრკ-ის სპეცსამსახურებს. საბჭოთა ხელისუფლება კარგად აცნობიერებდა გადამჭრელი ზომების მიღების აუცილებლობას, თუმცა, რაციონალური, დიპლომატიური ღონისძიებების ნაცვლად, არსებულ გამოწვევასთან გამკლავება კვლავ ჩვეული, ხისტი მეთოდებით სცადა.

1982 წლის ბოლოსკენ პოლონეთის კომუნისტურმა ხელისუფლებამ, ვოიცეხ იარუზელსკის მეთაურობით, დაიწყო მკაცრი ზომების გატარება „სოლიდარობის“ მიმართ. მოძრაობის მიერ „სავარაუდო სახელმწიფო გადატრიალების“ წინააღმდეგ საბრძოლველად, ქვეყანაში საომარი მდგომარეობა გამოცხადდა. დააკავეს „სოლიდარობის“ 6000 წარმომადგენელი, ასობით ადამიანს ბრალი წაუყენეს ღალატში, დივერსიასა და კონტრრევოლუციაში, ხოლო თავად მოძრაობა „სოლიდარობა“ აკრძალეს (Perrone, 2012 : 39).

„სოლიდარობაზე“ თავდასხმა რეაგირების გარეშე არ დაუტოვებია რომის პაპს. 1983 წლის ივნისში ის მეორე ვიზიტით ეწვია სამშობლოს და ორმილიონიანი საზოგადოების წინაშე გამოსვლისას უკვე აშკარად მოუწოდა პოლონელებს პოლონეთის სუვერენიტეტისა და დემოკრატიული მთავრობის შექმნის აუცილებლობისკენ, რაც თავისთავად, იმჟამინდელი ხელისუფლების განდევნას გულისხმობდა (Perrone, 2012: 40). კომუნისტი მმართველები გაცილებით სერიოზული საფრთხის წინაშე დადგნენ. მკვლევარ არაგონ პერონეს შეფასებით, აშკარა გახდა „სოლიდარობისა“ და ეკლესიის ძალების კონსოლიდაცია საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად (Perrone, 2012:41).

ვიზიტის შედეგები საკმაოდ ეფექტური აღმოჩნდა. მომდევნო თვეში იარუზელსკიმ საომარი მდგომარეობა გააუქმა, რამაც ხელი შეუწყო მოძრაობის კიდევ უფრო მეტად გაფართოებას. „სოლიდარობამ“ მოიპოვა მეტი ძალა და შესაბამისად, მეტი ლეგიტიმაციაც (Perrone, 2012: 41). 1987 წლის თებერვალში იარუზელსკი პაპ იოანე-პავლე II -ს შეხვდა და კათოლიკურ ეკლესიასთან დიალოგის დაწყების პირობა დადო (Perrone, 2012: 42). აღნიშნული თავისთავად, ნიშნავდა რეჟიმის მარცხის აღიარებას, თუმცა, კომუნისტურმა მთავრობამ სწორედ დიალოგის გზით სცადა ძალაუფლების შენარჩუნება.

ამგვარად, XX ს-ის 80-იან წლებში ვატიკანისა და კონკრეტულად, პოლონელი პაპის, იოანე-პავლე II-ის აქტიურმა ძალისხმევამ პოლონეთის კომუნისტური მარწუხებიდან გათავისუფლებისათვის ბრძოლაში და მისმა თანამშრომლობამ აშშ-თან, სერიოზული პრობლემები შეუქმნა როგორც პოლონურ, ისე სსრკ-ს ხელისუფლებას. სოციალისტური ბანაკის ეროვნული და მსოფლიო მასშტაბის რელიგიური ძალები ერთობლივად იბრძოდნენ მათ წინააღმდეგ, რასაც ზურგს უმაგრებდა სსრკ-ის ყველაზე დიდი მტერი (აშშ). გორბაჩოვის ადმინისტრაცია დარწმუნდა საფრთხის მასშტაბებში და იმ გარემოებაში, რომ პროცესის წარმატებით გაგრძელების შემთხვევაში, კოლაფსი გარდაუვალი იყო.

ვფიქრობთ, ზემოთ აღწერილი მიზეზები თვალსაჩინოს ხდის იმ მდგომარეობას, რაშიც საბჭოთა ხელისუფლება აღმოჩნდა 80-იანი წლების მეორე ნახევრის დასაწყისისთვის. ვითარება ნამდვილად კრიტიკულ ხასიათს ატარებდა. საჭირო იყო „რევოლუცია ზემოდან“ და რადიკალური გარდაქმნა, სსრკ-ს საზოგადოებრივი ცხოვრების ალბათ ყველა სფეროში. სწორედ „გარდაქმნის“ სახელწოდებითაა ცნობილი რეფორმათა და ცვლილებათა მთელი სერია, რომლის აქტიური გადატარებაც გორბაჩოვმა თავისი მმართველობის მეორე ეტაპიდან, კონკრეტულად კი, 1987 წლიდან დაიწყო. ცვლილებები შეეხო სოციალურ-ეკონომიკურ, საგარეო პოლიტიკის და რა თქმა უნდა, რელიგიის სფეროსაც.

მ. გორბაჩოვის ადმინისტრაციის უმთავრეს ამოცანად იქცა სოციალიზმის დემოკრატიული მოდელის შექმნა, რომლის მეშვეობითაც სსრკ პასუხს გასცემდა XX ს-ის 80-იანი წლებისათვის მის წინაშე არსებულ ყველა გამოწვევას. 1987 წლის ივნისში სსრკ-ში მიღებულ იქნა ახალი ეკონომიკური პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა ეკონომიკის

ერთგვარ „ლიბერალიზაციას“. საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამოცხადდა „საჯაროობის“ პრინციპი, რაც გულისხმობდა სახელმწიფო და პარტიული ორგანოების ღიაობას, სიტყვის თავისუფლების დაშვებას, ცენზურის შერბილებას, ინფორმაციის თავისუფალ გაცვლის შესაძლებლობას და სხვ. საბჭოთა ხელისუფლებამ ახალი ოფიციალური კურსი გამოაცხადა საგარეო პოლიტიკაშიც და წამყვან დოქტრინად „ახალი აზროვნება“ აქცია, რომელიც იდეოლოგიური საფუძვლების გადაფასებას, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების პრიმატის აღიარებას და შესაბამისად, დასავლეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას გულისხმობდა (მაცაბერიძე, 2023: 414, 423)

საბჭოთა ხელისუფლების ახალმა საგარეო პოლიტიკამ გარკვეული შედეგები გამოიღო. 1987 წლის დეკემბერში ვაშინგტონში გორბაჩოვი კიდევ ერთხელ შეხვდა რეიგანს და მასთან საშუალო რადიუსის რაკეტების ლიკვიდაციაზე შეთანხმებას მოაწერა ხელი. (Brown, 2010:262). მიღწეული შეთანხმება, ცხადია, მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა სსრკ-აშშ-ის ურთიერთობებში, თუმცა, პრობლემები ამით არ ამოწურულა. კვლავ ღიად რჩებოდა ადამიანის უფლებებისა და რელიგიური თავისუფლების საკითხი.

მ. გორბაჩოვი მიხვდა, რომ დასავლეთთან ცივი ომის პირობებში, მას უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის შიგნით სჭირდებოდა ისეთი ძალა, რომელიც მხარს დაუჭერდა „გარდაქმნის“ პროცესში და ხელს შეუწყობდა სსრკ-ის წინააღმდეგ არსებული კომპრომატების გაუვნებელყოფას. ასეთ ძალად მოაზრებულ იქნა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია.

მმართველმა გუნდმა დაიწყო სოციალისტურ საზოგადოებაში რელიგიის როლისა და ადგილის გადაფასება. ისტორიამ აჩვენა, რომ საბჭოთა ლიდერების მრავალწლიანი ანტირელიგიური პოლიტიკის მიუხედავად, 80-იანი წლებისთვის რელიგია იყო ის ძალა სსრკ-ში, რომელიც საზოგადოებაში იმაზე მეტი ნდობით სარგებლობდა, ვიდრე ნებისმიერი სახელმწიფო სტრუქტურა ან ინსტიტუტი. აღნიშნულის დასტურად შეგვიძლია მოვიყვანოთ 1990 წელს მოსკოვში ჩატარებული კვლევა, რის შედეგადაც დადგინდა, რომ მოსახლეობის 64 % ნდობას უცხადებდა ეკლესიას, ხოლო კომუნისტურ პარტიას მხოლოდ 5.4 %. (Ramet, 2005:49). ვფიქრობთ, ეს მაჩვენებელი ყველაზე ნათლად მეტყველებს არსებულ რეალობაზე. აგრეთვე იმაზეც, რომ ეს არ იყო გორბაჩოვის „პერესტროიკის“ შედეგი. ეს იყო 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იან წლებში მომწიფებული ვითარების ამსახველი. მხედველობაში გვაქვს საზოგადოების მასიური შემობრუნება ეკლესიისკენ და კომუნისტური პარტიის გავლენისა და ავტორიტეტის მნიშვნელოვანი შემცირება, რომლის დაძლევაც ვერც „გარდაქმნით“ გახდა შესაძლებელი.

ვფიქრობთ, საბჭოთა ხელისუფლებისთვის ძალიან კარგად იყო ცნობილი ხსენებული რეალობა, თუმცა მასთან დაპირისპირების გაგრძელებაში მას ხელი შეუშალა ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილმა საგარეო და საშინაო ფაქტორებმა. ხელისუფლება ახლა იძულებული იყო, მოენახა ისეთი გზა, რომელიც ერთი მხრივ, შემცირებდა რელიგიასთან კონფრონტაციას და ამით, აშშ-ს გამოაცლიდა სსრკ-ის საწინააღმდეგო კომპრომატებს, რაც თავისთავად, შექმნიდა მასთან შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობას, ხოლო მეორე მხრივ, ხელს შეუწყობდა საზოგადოებაში პარტიის იმიჯის რეაბილიტაციას და დაეხმარებოდა შიდა პრობლემების მოგვარებაში. ამგვარად, რელიგია და რელიგიური ინსტიტუტები მოაზრებულ იქნენ პოტენციურ მოკავშირედ, რომელთაც შეეძლოთ უაღრესად დადებითი როლის შესრულება „გარდაქმნის“ პროცესში და საბჭოთა სახელმწიფოს გადარჩენაში.

რელიგიის სფეროში ცვლილებები რეპრესირებულთა რეაბილიტაციით დაიწყო. 1987 წელს გაათავისუფლეს რელიგიური ნიშნით დაპატიმრებულთა დაახლოებით მესამედი. რელიგიურ თემებს მიეცათ დარეგისტრირების უფლება (Anderson, 1994/2002:139).

მთავრობის ყურადღების ცენტრში, ცხადია, პირველ რიგში, საბჭოთა კავშირის ცენტრალური (რუსეთის) ეკლესია მოექცა. მან ახლა კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა, ვინაიდან ხელისუფლებას ყველაზე მეტად სწორედ მისი მხარდაჭერა სჭირდებოდა, როგორც ქვეყნის შიდა, ისე გარე გამოწვევებთან გამკლავებაში. კერძოდ, რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას შეეძლო არა მარტო პოზიტიური როლის შესრულება რეფორმების პროცესში, არამედ, დასავლეთის მხრიდან რელიგიური ნიშნით საბჭოთა სახელმწიფოს დისკრედიტაციის კამპანიის შესუსტება. თუმცა, რუსეთის ეკლესიის განსაკუთრებული მნიშვნელობა მოცემულ პერიოდში, მხოლოდ ამით არ შემოიფარგლებოდა. ის იყო ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ძალა ქრისტიანულ სამყაროში, რომელსაც შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია ვატიკანის პოლიტიკისთვის, როგორც სლავურ მიწებზე კათოლიციზმის აღორძინების, ისე სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში კომუნისტური ხელისუფლების დამხობის კუთხით. ვფიქობთ, მ. გორბაჩოვმა სწორად შეაფასა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის შესაძლებლობები და გადაწყვიტა მისთვის ფართო ასპარეზი მიეცა. მიგვაჩნია, რომ სწორედ ამ მიზეზებით იწყება რუსეთის ეკლესიის გაძლიერებაზე ზრუნვა.

1988 წლის 29 აპრილს მ. გორბაჩოვსა და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქს - პიმენსა და სინოდის სხვა წევრებს შორის შედგა ოფიციალური შეხვედრა. ეს იყო პირველი ისტორიული შეხვედრა ხელისუფლებასა და ეკლესიის იერარქებს შორის 1943 წლის 4 სექტემბრის შემდეგ (როდესაც სტალინმა მიიღო ეკლესიის სამი წინამძღვარი) (Ramet, 2005:33). შეხვედრაზე პარტიის ლიდერმა დადებითად შეაფასა ეკლესიის წვლილი სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში და აღნიშნა, რომ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობა ყოველთვის ადვილი არ იყო. თუმცა, ამჯერად მომავალში რელიგიური პოლიტიკა დაფუძნებული იქნებოდა თანამშრომლობაზე და არა კონფლიქტზე (Anderson, 1994/2002:140). გამოიკვეთა ეკლესია-სახელმწიფოს დაახლოების ნიშნები, რაც არსებული მდგომარეობის პოზიტიური კუთხით შეცვლის მოლოდინს ქმნიდა.

აპრილის შეხვედრის შემდეგ გააქტიურდა კომუნიკაცია ხელისუფლებისა და ეკლესიის წარმომადგენლებს შორის. დაიგეგმა ისეთი ღირსშესანიშნავი ფაქტის საზეიმო აღნიშვნა, როგორიც იყო კიევის რუსეთის გაქრისტიანების ათასი წლისთავი. ეს უნდა ყოფილიყო არა მხოლოდ რელიგიური დღესასწაული, არამედ სახელმწიფო მნიშვნელობის მოვლენა.

გაქრისტიანების 1000 წლის იუბილე 1988 წლის ივნისში, საკმაოდ მასშტაბურად აღინიშნა., ოფიციალური სადღესასწაულო ღონისძიებები 5-16 ივნისს გაიმართა მოსკოვში, კიევში, ლენინგრადსა და რიგაში. მათ ესწრებოდნენ მსოფლიოს ყველა მართლმადიდებლური ეკლესიისა და ქრისტიანული თემის წარმომადგენლები. ათასწლეულის ღონისძიებებმა, რომლებიც ფართოდ იყო გაშუქებული ტელევიზიითა და საბჭოთა პრესაში, ხელი შეუწყო ეკლესიის პრესტიჟის ამაღლებას. (Ramet, 2005: 33) ვაშინგტონის უნივერსიტეტის პროფესორის, საბრინა პეტრა რამეთის შეფასებით, ამ მოვლენამ წარმოაჩინა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის, როგორც სოციალური ინსტიტუტის რეაბილიტაცია და ეროვნული (რუსული) კულტურისა და მასში ეკლესიის წვლილის აღიარება. ორივე კუთხით,

ის ასახავდა გარდატეხას ადრინდელ სახელმწიფო პოლიტიკაში - რელიგიისა და ნაციონალიზმის სფეროში (Ramet, 2005: 34).

გორბაჩოვის მმართველობის პირველი ოთხი წლის განმავლობაში 1700-ზე მეტი რუსული მართლმადიდებლური ეკლესია გაიხსნა. რუსეთის ეკლესიას დაუბრუნდა რამდენიმე მონასტერი, მათ შორის ოპტინის უდაბნოს მონასტერი კალუგას ოლქში, ტოლგას ღვთისმშობლის მონასტერი იაროსლავში, ნოვო-გოლუტვინსკის მონასტერი კოლომნაში, მღვიმევის მონასტერი და პეჩორის ლავრა კიევში. აღდგა დანილოვის მონასტერი, როგორც რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სულიერი და ადმინისტრაციული ცენტრი. გაფართოვდა ეკლესიის საგამომცემლო საქმიანობაც. 1989 წლის აპრილში მოსკოვის საპატრიარქომ გამოუშვა ყოველკვირეული გაზეთი „Московский церковный вестник“, რომელიც ეხებოდა ეკლესიის თეოლოგიურ, სოციალურ და კულტურულ საკითხებს. ეკლესიამ გამოსცა ასევე ბიბლიის საიუბილეო გამოცემა რუსულ ენაზე (100,000 ეგზემპლარით), რუსული ლოცვის წიგნი (75,000 ეგზემპლარი) და ახალი აღთქმის უკრაინული თარგმანი. საბჭოთა ხელისუფლების გაზეთმა „Известия“ რეგულარულად დაიწყო რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ახალი ამბების გაშუქება (Ramet, 2005:38-39). 1988 წლის გაზაფხულზე საბჭოთა ტელევიზიამ გადასცა რუსული მართლმადიდებლური აღდგომის წირვის ნაწილი - ეს იყო პირველი შემთხვევა სსრკ-ში. 1991 წლის აპრილში საბჭოთა ტელევიზია კიდევ უფრო შორს წავიდა და პირდაპირი ეთერით აჩვენა აღდგომის სრული წირვა ნათლისღების საკათედრო ტაძარში, რომელსაც ესწრებოდნენ რსფსრ პრეზიდენტი ბორის ელცინი და საბჭოთა კავშირის პრემიერ მინისტრი ვალენტინ პავლოვი. რამდენიმე თვით ადრე შობა გამოცხადდა სახელმწიფო დღესასწაულად (Ramet, 2005:39).

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ 80-იან წლებში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის რეაბილიტაცია და გაძლიერება წარმატებით განხორციელდა. 1989 წლის ბოლოსთვის მას ჰყავდა 8100 მღვდელი, გააჩნდა 70 ეპარქია, 19 სასწავლო დაწესებულება, 3948 ღვთისმეტყველების სტუდენტი და 9734 გახსნილი ეკლესია და 35 მონასტერი. (Ramet, 2005:39). უნდა აღინიშნოს ის, რომ რა რესურსებიც, უფლებებიცა და შესაძლებლობებიც რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას მიეცა „გარდაქმნის“ პირველ ეტაპზე, იმავე უფლებებითა და შესაძლებლობებით ნაწილობრივ ან საერთოდ ვერ სარგებლობდნენ არარუსული და მით უმეტეს, არამართლმადიდებლური ეკლესიები. ეს ეხება უმეტესად, უკრაინის, ლიეტუვის, ლატვიის და საქართველოს ეკლესიებს. აღნიშნულს, ცხადია, თავისი მიზეზი ჰქონდა. კათოლიკური და პროტესტანტული ეკლესიები საბჭოთა კავშირში ცალსახად დასავლეთის „სატელიტებად“ აღიქმებოდნენ, რასაც თან ერთვოდა ადგილობრივი „ნაციონალისტური“ ტენდენციები. შესაბამისად, ისინი ხელისუფლების მხრიდან ორმაგი წნეხის ქვეშ იყვნენ. ადგილი ჰქონდა მათ დაპირისპირებას რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთანაც, როგორც რელიგიური, ისე იურისდიქციული კუთხით, რაც კიდევ უფრო ართულებდა მათ მდგომარეობას. რაც შეეხება საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, მართალია ის მართლმადიდებლური იყო და არ იმყოფებოდა რელიგიურ და იურისდიქციულ დაპირისპირებაში რუსეთის ეკლესიასთან, მაგრამ მისი ეროვნული პოზიციების გამო, ხელისუფლებისთვის იგი მაინც არასასურველი ინსტიტუტი იყო და შესაბამისად, არც უწყობდა ხელს მის რეაბილიტაციას. (საბჭოთა ხელისუფლებისა და

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობის შესახებ ჩვენ სხვა ნაშრომში ვსაუბრობთ, ამიტომ მასზე ვრცლად აქ აღარ შევჩერდებით).

როგორც აღვნიშნეთ, გორბაჩოვის ხელისუფლება რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის გაძლიერებით ცდილობდა არამართლმადიდებლური ძალების შესუსტებას ქვეყანაში. ეს მხოლოდ მისადმი თავისუფლებისა თუ ახალი შესაძლებლობების მინიჭებით არ შემოიფარგლებოდა. ხელისუფლებამ დაიწყო მართლმადიდებლური სალოცავების გახსნა იმ ტერიტორიებზე, სადაც კათოლიციზმის გავლენა არსებობდა. ასე, მაგალითად, 1987 წლიდან რუსული მართლმადიდებლური ეკლესიები გაიხსნა უკრაინის დასავლეთ რეგიონებში, ისეთ ტერიტორიებზე, როგორებიცაა ლვოვი, ტერნოპოლი და ივანო-ფრანკოვსკი. ამ გზით ცდილობდა იგი უნიატური და კათოლიკური მრწამსის აღორძინების შეფერხებას. ხელისუფლება არ ერიდებოდა ღვთისმსახურების ჩატარების გამო კათოლიკე სასულიერო პირების დაპატიმრებასაც (Ramet, 2005: 42).

მ. გორბაჩოვის სეგრეგაციული პოლიტიკა შეუმჩნეველი არ დარჩენილა დასავლეთში. ევროპული და ამერიკული მასმედიის საშუალებები აქტიურად აშუქებდნენ ქვეყანაში არარუსული (მათ შორის ქართული) და არამართლმადიდებლური ეკლესიების მდგომარეობას და ღიად აცხადებდნენ, რომ კვლავ გრძელდებოდა მათი დისკრიმინაცია. („კომუნისტი“, 1988, N66, გვ. 3).

ვფიქრობთ, არსებული მდგომარეობის გამოძახილი უნდა იყოს 1987 წელს რომის პაპის იოანე-პავლე II-ის კიდევ ერთი ვიზიტი პოლონეთში. წინა ვიზიტებთან შედარებით, მან გაცილებით მშვიდად, ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე ჩაიარა. აღნიშნული ბუნებრივიც იყო, ვინაიდან კომუნისტური ხელისუფლება ყველანაირად ცდილობდა, ეჩვენებინა დემოკრატიზაციისაკენ აღებული ურყევი კურსი და მზაობა, ყველა ძალასთან ღია, გამჭვირვალე დაა თანამშრომლობაზე დაფუძნებული ურთიერთობისთვის. თუმცა, პაპის ვიზიტმა, ჩვენი მოსაზრებით, სსრკ-ს ხელისუფლება დააფიქრა იმაზე, რომ ვატიკანისგან მომავალი საფრთხის გასანეიტრალებლად მხოლოდ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის გაძლიერება არ იყო საკმარისი. საჭირო იყო ურთიერთობის მოწესრიგება თავად წმინდა პეტრეს საყდართან და მის წინამძღოლთან.

ვატიკანის გარდა, რელიგიური თავისუფლების საკითხი იყო ერთგვარი „გორდიასის კვანძი“ სსრკ-აშშ-ს ურთიერთობებშიც. ჩვენ მიერ მოპოვებული წყაროებიდან ჩანს, რომ რეიგანის ადმინისტრაცია კარგად იყო ინფორმირებული „რელიგიური პერესტროიკის“ ნამდვილი ბუნებისა და სხვადასხვა რელიგიურ ორგანიზაციათა მდგომარეობის შესახებ. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ აშშ-ის „ეროვნული უსაფრთხოების არქივში“ დაცული 1988 წლის 29 მაისს რ. რეიგანისა და მ. გორბაჩოვის კრემლში შეხვედრის ჩანაწერი. შეხვედრა, შეიძლება ითქვას, საკმაოდ კომპლექსური შინაარსის იყო. რეიგანმა დადებითად შეაფასა მ. გორბაჩოვის მცდელობა საერთაშორისო მშვიდობის მიღწევის საკითხში, შეეხო ავღანეთიდან ჯარების გაყვანის ფაქტს და აღნიშნა, რომ მსოფლიო იწონებდა მის გამბედაობას. თუმცა, იქვე ყურადღება შეაჩერა სსრკ-ში რელიგიური თავისუფლების საკითხზე. გორბაჩოვმა სცადა, ესაუბრა რელიგიის სფეროში დემოკრატიზაციის პროცესზე, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მაგალითზე, თუმცა, რეიგანმა ხაზგასმით დაუსვა კითხვა მუსლიმების, იუდაისტების, პროტესტანტებისა და უკრაინელი კათოლიკეების მდგომარეობის შესახებ (Memorandum of Conversation, 1988: 2-5). ნათელი იყო, საითკენაც

მიემართებოდა მისი აქცენტები. მ. გორბაჩოვმა აღიარა, რომ იყო გარკვეული კონფლიქტები ხელისუფლებასა და რელიგიურ აქტივისტებს შორის, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა მათი მოღვაწეობა ანტისაბჭოური იყო. მან სცადა აშშ-ის პრეზიდენტი დაერწმუნებინა იმაში, რომ სსრკ-ში სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლები ასრულებდნენ თავიანთ ღვთისმსახურებასა და წეს-ჩვეულებებს საკმაოდ ფართო მასშტაბით და შესთავაზა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქთან შეხვედრა, ქვეყანაში რელიგიასთან დაკავშირებით არსებულ მდგომარეობაში გასარკვევად (Memorandum of Conversation, 1988:7).

მოსკოვის შეხვედრამ ცხადყო, რომ დასავლეთთან შეთანხმების მიღწევა და სასურველი შედეგების მიღება რელიგიური პოლიტიკის დახვეწის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. აუცილებელი პირობა იყო რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მიღმა არსებულ სხვა ეკლესიებთან და კონფესიებთან დამოკიდებულების შეცვლა.

ვითარება იცვლება 1988 წლის გაზაფხულზე, როდესაც დაიწყო „ლიბერალიზაციის“ გაღრმავება და „რელიგიური პერესტროიკის“ ეტაპობრივი გავრცელება სხვადასხვა ჯგუფებზე, უკრაინაში, ლვოვის წმინდა გიორგის სახელობის საკათედრო ტაძარი დაუბრუნდათ კათოლიკეებს, კათოლიკე სასულიერო პირებსა და ორდენებს (მათ შორის, ბასილიელ მამებს) მიეცათ თავისუფალი მოღვაწეობის შესაძლებლობა. 1990 წლის აპრილისთვის უკრაინის კათოლიკური ეკლესია 1000-ზე მეტ მღვდელს ითვლიდა; 1988 წლის ოქტომბერში ვილნიუსის საკათედრო ტაძარი დაუბრუნდა რომის კათოლიკურ ეკლესიას; ვატიკანს მიეცა უფლება, დაენიშნა ეპისკოპოსები ლიეტუვასა და ბელარუსში. 1989 წლის დასაწყისში ლიეტუვისა და ლატვიის საეკლესიო ჟურნალებმა მიიღეს გამოქვეყნების უფლებაც (Ramet, 2005: 43).

1989 წლის ბოლოს კი, მ. გორბაჩოვი ჩავიდა ვატიკანში და პირადად შეხვდა რომის პაპს. ვიზიტი უდიდესი მნიშვნელობის მატარებელი იყო. ვინაიდან სწორედ ამ ვიზიტის მსვლელობისას წარმოჩნდა საბჭოთა კავშირსა და ვატიკანს შორის დაპირისპირების დასასრული და მათი ურთიერთობის გადასვლა ახალ ეტაპზე. მ. გორბაჩოვმა პოზიტიურად შეაფასა ვატიკანის როლი საერთაშორისო ურთიერთობებში და ხაზი გაუსვა იმას, რომ წმიდა საყდარი მუშაობდა „საერთო ევროპული პრობლემების გადაწყვეტის ხელშესაწყობად და ხელსაყრელი გარემოს შესაქმნელად“ (Weigel, 1999/2001:603). პოზიტიური მოლოდინს ამჟღავნებდა საბჭოთა პრესაც. კომუნისტური პარტიის ახალგაზრდული გაზეთი „Комсомольская Правда“ ამის შესახებ წერდა: „როგორც კათოლიკეები, ასევე კომუნისტები ამ დღეებში ეძებენ საშუალებას, რომელიც გააერთიანებს და არ გაყოფს ხალხს“; „ვატიკანი არ მოუწოდებს კომუნიზმის წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობისკენ და ჩვენ რელიგიას აღარ ვუწოდებთ ოპიუმს“ (McTernan, 1990:18-26). იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ხანგრძლივი დაპირისპირების შემდეგ შერიგება შედგა. თუმცა, ფორმალური, პოზიტიური ატმოსფეროს მიუხედავად, შეხვედრა შეიცავდა საბჭოთა ხელისუფლებისთვის უსიამოვნო დეტალებსაც. კერძოდ, ლიდერებს შორის გამართული დიალოგი რელიგიური თავისუფლების საკითხზე. პაპი იოანე პავლე II კარგად იყო ინფორმირებული სსრკ-ში კათოლიკეთა მდგომარეობის ერთგვარი გაუმჯობესების შესახებ, თუმცა, მიღებული ზომები მისთვის არ წარმოადგენდა სსრკ-ში კათოლიკე სამწყოს უსაფრთხო არსებობისა და მოღვაწეობის გარანტიას. აქედან გამომდინარე, შემთხვევითი არ არის ის, რომ მან მ. გორბაჩოვს მიუთითა საკანონმდებლო ბაზის განახლების აუცილებლობაზე და აღნიშნა, რომ დადგა დრო, საბჭოთა მთავრობას

გამოეყენებინა მის მიერ არაერთგზის დადასტურებული გადაწყვეტილება, რელიგიურ თავისუფლებაზე შიდა კანონმდებლობის განახლების შესახებ. "ამით, - დასძინა მან, - საბჭოთა პრაქტიკა, შესაძლოა „სრულ ჰარმონიაში მოვიდეს იმ საერთაშორისო ვალდებულებებთან, რომლებზეც საბჭოთა კავშირს ... ხელი აქვს მოწერილი" (Weigel, 1999/2001:603). პაპის მხრიდან სსრკ-ის საერთაშორისო ვალდებულებებზე და პასუხისმგებლობაზე მითითება ცხადჰყოფდა იმ გარემოებას, რომ ვატიკანთან ურთიერთობის დათბობა და მისი მწყემსმთავრის მხარდაჭერის მოპოვება შეუძლებელი იქნებოდა „რელიგიური პერესტროიკის" სრულფასოვანი განხორციელების გარეშე. მ. გორბაჩოვმა შეხვედრაზე დადო პირობა, რომ შეასრულებდა თავისი დაპირებას რელიგიური თავისუფლებაზე ახალი კანონის მიღების შესახებ (Weigel, 1999/2001:604).

ვატიკანში ვიზიტი ფაქტობრივად, იყო საბჭოთა ხელისუფლების მარცხის საჯარო აღიარება რელიგიასთან ბრძოლაში. გამართლდა რონალდ რეიგანის სიტყვები, რომელიც რელიგიას საბჭოთა კავშირის „აქილევსის ქუსლად" მოიაზრებდა. სწორედ რელიგია და ადამიანის უფლებები აღმოჩნდა იმ მძლავრი ბერკეტი, რომლის მეშვეობითაც დასავლურმა სამყარომ შეძლო საბჭოთა კავშირის ჯერ დისკრედიტაცია, შემდეგ კი სრულ კოლაფსამდე მიყვანა. ცხადია, ამ საქმეში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა სამხედრო, სოციალურ-ეკონომიკურ და იდეოლოგიურ სფეროებში არსებულმა კრიზისმა, საკავშირო რესპუბლიკებში განვითარებულმა ეროვნულმა მოძრაობებმა, თუმცა, ვფიქრობთ, არ იქნება ხმამაღალი შეფასება, თუ ვიტყვით იმას, რომ სისტემის საბოლოო კრახი სწორედ ადამიანის უფლებებსა და რელიგიის თავისუფლებაზეც გადიოდა, ვინაიდან ადამიანის უფლებები წარმოადგენდა იმ ფუნდამენტს, რომელსაც ეფუძნებოდა საბჭოთა კავშირისა თუ სოციალისტური ბანაკის მოქალაქეთა მოთხოვნები სრულფასოვანი ცხოვრებისეული პირობების, განათლების, სიტყვისა და სინდისის თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის შესახებ. ამ მოქალაქეთა შორის კი იყვნენ როგორც მორწმუნეები და სასულიერო პირები, ისე, რელიგიისადმი პოზიტიურად ან ნეიტრალურად განწყობილი პირებიც, ასევე ათეისტებიც, რომელთათვისაც ასევე მიუღებელი იყო ადამიანთა დისკრიმინაცია, თუნდაც რელიგიური ნიშნით.

რელიგიურ ორგანიზაციათა და თემთა წინაშე დათმობების და მათი აღიარების კულმინაციას წარმოადგენდა საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება, რომლის შედეგიც იყო 1990 -იან წლების დასაწყისში ორი მნიშვნელოვანი კანონის მიღება: 1) სსრკ კანონი „სინდისის თავისუფლებისა და რელიგიური ორგანიზაციების შესახებ" და 2) რსფსრ კანონი "რელიგიის თავისუფლების შესახებ".

აღნიშნული კანონები, პირველად, საბჭოთა კავშირის ისტორიაში, აღიარებდნენ ეკლესიის, როგორც იურიდიული პირის უფლებებს. რელიგიურ ორგანიზაციებს მიეცათ უძრავი ქონების ფლობის, ქველმოქმედების, ახალგაზრდებთან მუშაობის, განათლებისა და განმანათლებლობის უფლება. რაც შეეხება რელიგიის საქმეთა საბჭოს, სსრკ-ს კანონმდებლობაში ის რჩებოდა რელიგიების შესახებ საინფორმაციო ცენტრად და შუამავლად ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის, რსფსრ კანონით კი იგი მთლიანად გაუქმდა და ჩანაცვლდა სინდისისა და რელიგიის თავისუფლების კომისიით ჯერ უმაღლეს საბჭოში, შემდეგ კი - სახელმწიფო სათათბიროში (Горшкова, 2001:48-49).

რელიგიური ორგანიზაციებისა და მორწმუნეთა მიმართ გადადგმულმა ნაბიჯებმა საბჭოთა ხელისუფლებისთვის სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. ბუნებრივია, ვინაიდან მიღებული ზომები საკმაოდ დაგვიანებული აღმოჩნდა. 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში საკავშირო და სოციალისტური ბანაკის რესპუბლიკებში ფართოდ გაშლილმა ეროვნულმა მოძრაობებმა, რომლებიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული რელიგიურ ორგანიზაციებთან და მორწმუნე საზოგადოებასთან, უკვე დიდ წარმატებებს მიაღწია. საბჭოთა კავშირს გამოეყვნენ და ეროვნული დამოუკიდებლობა მოიპოვეს ლიეტუვის, ლატვიის, საქართველოს, უკრაინის და სხვა სახელმწიფოებმა. კომუნისტური რეჟიმები დასრულდა პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიაშიც. 1991 წლის დეკემბერში კი ოფიციალურად გამოცხადდა საბჭოთა კავშირის დაშლა.

დასკვნა: დასასრულს, დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მ. გორბაჩოვის რელიგიური პოლიტიკა, მმართველობის სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებული ტენდენციებით ხასიათდებოდა. თუ კი 1985-1986 წლებში იგი წინამორბედი ლიდერების კურსს აგრძელებდა, 1987 წლიდან, არსებული საშინაო პრობლემებისა და საგარეო ფაქტორების გათვალისწინებით, რადიკალურად იცვლის ფორმას და მეთოდებს. თუმცა, „რელიგიური პერესტროიკა“, საწყის ეტაპზე, თავისი არსით, რელიგიურ ინსტიტუციებთან და თემებთან ურთიერთობის სეგრეგაციულ მოდელს წარმოადგენდა. დემოკრატიზაცია საბჭოთა კავშირის მხოლოდ ცენტრალურ - რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიას შეეხო, თუმცა, დასავლური სამყაროს და კონკრეტულად, ამერიკის შეერთებული შტატების ზეწოლის შედეგად, იგი სხვა რელიგიურ ჯგუფებზეც გავრცელდა. რელიგიის სფეროში გარდაქმნის მიზანი იგივე იყო, რისთვისაც საბჭოთა ხელისუფლება სხვა სფეროებში იღვწოდა - საბჭოთა სახელმწიფოს გადარჩენა, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, შემუშავებული მექანიზმები და გატარებული ღონისძიებები დაგვიანებული აღმოჩნდა. სისტემის კოლაფსი უკვე დიდი ხნის მომწიფებული იყო. საბჭოთა კავშირის დაშლით დასრულდა რელიგიის დევნის ხამგრძლივი ისტორია, რომელმაც კაცობრიობას ნათლად დაანახა ავტორიტარიზმის, დისკრიმინაციისა და ადამიანის პირად რწმენასთან ბრძოლის აბსურდულობა და გარდაუვალი კრახი. არსებული გამოცდილება დაედო საფუძვლად თანამედროვე მსოფლიო საზოგადოების მიერ აღიარებულ და შეთანხმებულ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, რომელთაგან განსაკუთრებული ადგილი სწორედ რელიგიურ თავისუფლებას უკავია.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

წყაროები

გაზეთი „კომუნისტი“. (1985). N60, გვ. 1-3.

გაზეთი „კომუნისტი“. (1985). N267, გვ. 1.

გაზეთი „კომუნისტი“. (1985). N269, გვ. 1.

გაზეთი „კომუნისტი“. (1988). N66, გვ. 3.

Iceland Chronology. (2016). Washington, October 18, 1986, Foreign Relations, 1981–1988, Volume VI, Soviet Union, October 1986–January 1989, editors: James Graham Wilson; Adam M. Howard, Washington, United States Government Publishing Office Washington. pp. 2-15.

https://static.history.state.gov/frus/frus1981-88v06/pdf/frus1981-88v06.pdf?_gl=1*ilew3u*_ga*NDg1NjM5Njk4LjE3MjU4NjU2NDM.*_ga_GWKX1LXFD1*MTcyOTY3MTA5Mi42LjEuMTcyOTY3MTQzNC4zMi4wLjA.

Memorandum of Conversation. (1986). "Reagan-Gorbachev meetings in Reykjavik, October, 1986. First meeting," October 11, 1986.

Memorandum of Conversation. (1988). The President's First One-on-One Metting with General Secretary Gorbachev, May 29, 1988, 3:26 - 4:37 p.m., St. Catherine Hall, The Kremlin, Moscow.

https://digitalarchive.wilsoncenter.org/document/memorandum-conversation-presidents-first-one-one-meeting-general-secretary-gorbachev

"Грядет день..." (1995). – О положении Русской Православной Церкви при Горбачеве. Кирилл Головин (ноябрь 1986), Русская Православная Церковь в советское время (1917–1991). Материалы и документы по истории отношений между государством и Церковью / Составитель Г. Штриккер. М.: "Пропилеи", 1995. – 400 с. 245.

„Правда Востока“. (1986). N201, с. 1

file:///C:/Users/user/Desktop/Eto/Pravda%20Vostoka%201.pdf

ლიტერატურა

მაცაბერიძე, მ. (2023). საბჭოთა კავშირი - კომუნისტური ტოტალიტარიზმის აღზევება და დაცემა. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.

Anderson, J. (1994/2002). Religion, state and politics in the Soviet Union and successor states. Cambridge: Cambridge University Press.

Brown, A. (2010). The Gorbachev revolution and the end of the Cold War; The Cambridge History of the Cold War, Edited by Melvyn P. Leffler & Odd Arne Westad, Volume III. Cambridge: Cambridge University Press. pp. 244-266.

Burger, J. (2021). How Pope John Paul II contributed to the fall of Soviet communism

https://aleteia.org/2021/12/23/how-pope-john-paul-ii-contributed-to-the-fall-of-soviet-communism/

McTernan, O. (1990). Religion and Perestroika, An Irish Quarterly Review, Vol. 79, No. 313, Published by Irish Province of the Society of Jesus, pp. 18-26.

http://www.jstor.org/stable/30091430

Perrone, A. (2012). "Pope John Paul II's Role in the Collapse of Poland's Communist Regime: Examining a Religious Leader's Impact on International Relations" , Honors Scholar Theses. 244.

https://opencommons.uconn.edu/srhonors_theses/244

Pleshakov, C. (2009). There Is No Freedom Without Bread! 1989 and the Civil War That Brought Down Communism, New York: Farrar, Straus and Giroux, 2009, pp. 103-107

Ramet, S. P. (2005). Religious policy in the era of Gorbachev, Religious policy in the Soviet Union, Cambridge, Cambridge University Press, pp. 31-54

Weigel, G. (1991/2001). Witness to Hope: The Biography of Pope John Paul II, HarperCollins Publishers

Горшкова, А. И. (2001). Государство и русская православная церковь в 1940--1990-х гг.(По материалам «Журнала Московской патриархии»,), А.И. Горшкова // Документ. Архив. История. Современность : сб. науч. тр. – Вып. 1. – Екатеринбург. С. 32 – 51.

Захаровский, Л. В., Разинков, С. Л. (2019). История России советского периода. Екатеринбург: Изд-во Рос. гос. проф.-пед. ун-та. https://elar.rsvpu.ru/bitstream/123456789/29987/1/978-5-8050-0670-9.pdf

REFERENCES

Sources:

Gazeti “Komunisti”. (1985). N60, gv.. 1-3.

Gazeti “Komunisti”. (1985). N267, gv.. 1.

Gazeti “Komunisti”. (1985). N269, gv.. 1.

Gazeti “Komunisti”. (1988), N269, gv.. 1.

Gazeti “Komunisti”. (1988), N66, gv. 3.

Iceland Chronology, (2016). Washington, October 18, 1986, Foreign Relations, 1981–1988, Volume VI, Soviet Union, October 1986–January 1989, editors: James Graham Wilson; Adam M. Howard, Washington, United States Government Publishing Office Washington. pp. 2-15. https://static.history.state.gov/frus/frus1981-88v06/pdf/frus1981-88v06.pdf?_gl=1*ilew3u*_ga*NDg1NjM5Njk4LjE3MjU4NjU2NDM.*_ga_GWKX1LXFD1*MTcyOTY3MTA5Mi42LjEuMTcyOTY3MTQzNC4zMi4wLjA.

Memorandum of Conversation. (1986.) "Reagan-Gorbachev meetings in Reykjavik, October, 1986. First meeting," October 11, 1986.

Memorandum of Conversation, (1988) The President's First One-on-One Metting with General Secretary Gorbachev, May 29, 1988, 3:26 - 4:37 p.m., St. Catherine Hall, The Kremlin, Moscow. https://digitalarchive.wilsoncenter.org/document/memorandum-conversation-presidents-first-one-one-meeting-general-secretary-gorbachev

"Grjadet den′..." (1995) – O položenii Russkoj Pravoslavnoj Cerkvi pri Gorbačeve. Kirill Golovin (nojabr′ 1986), Russkaja Pravoslavnaja Cerkov′ v sovetskoe vremja (1917–1991). Materialy

i dokumenty po istorii otnošenij meždu gosudarstvom i Cerkov'ju / Sostavitel' G. Štrikker. M.: "Propilei", 1995. – 400 s. 245.

„Pravda Vostoka“. (1986), N201, s. 1 file:///C:/Users/user/Desktop/Eto/Pravda%20Vostoka%201.pdf

Literature:

matsaberidze, m. (2023). *sabchota kavshiri -komunisturi totalitarizmis aghzeveba da datsema [The Soviet Union - The Rise of Communist Totalitarianism and the fall].* Tbilisi: gamomtsemloba „universali“.

Anderson, J. (1994/2002). Religion, state and politics in the Soviet Union and successor states. Cambridge: Cambridge University Press.

Brown, A. (2010). The Gorbachev revolution and the end of the Cold War; The Cambridge History of the Cold War, Edited by Melvyn P. Leffler & Odd Arne Westad, Volume III. Cambridge: Cambridge University Press. pp. 244-266

Burger, J. (2021). How Pope John Paul II contributed to the fall of Soviet communism https://aleteia.org/2021/12/23/how-pope-john-paul-ii-contributed-to-the-fall-of-soviet-communism/

McTernan, O. (1990). Religion and Perestroika, An Irish Quarterly Review, Vol. 79, No. 313, Published by Irish Province of the Society of Jesus, pp. 18-26. http://www.jstor.org/stable/30091430

Perrone, A. (2012). "Pope John Paul II's Role in the Collapse of Poland's Communist Regime: Examining a Religious Leader's Impact on International Relations". Honors Scholar Theses. 244. https://opencommons.uconn.edu/srhonors_theses/244

Pleshakov, C. (2009). There Is No Freedom Without Bread! 1989 and the Civil War That Brought Down Communism, New York: Farrar, Straus and Giroux. pp. 103-107.

Ramet, S. P. (2005). Religious policy in the era of Gorbachev, Religious policy in the Soviet Union, Cambridge: Cambridge University Press. pp. 31-54.

Weigel G. (1991/2001). Witness to Hope: The Biography of Pope John Paul II, HarperCollins Publishers.

Gorškova A. I., (2001). Gosudarstvo i russkaja pravoslavnaja cerkov' v 1940--1990-h gg.(Po \ materialam «Žurnala Moskovskoj patriarhii»,), A.I. Gorškova // Dokument. Arhiv. Istorija. Sovremennost' : sb. nauč. tr. – Vyp. 1. – Ekaterinburg. S. 32 – 51.

Zaharovskij L. V., Razinkov S. L. (2019). Istorija Rossii sovetskogo perioda. Ekaterinburg: Izd-vo Ros. gos. prof.-ped. un-ta. https://elar.rsvpu.ru/bitstream/123456789/29987/1/978-5-8050-0670-9.pdf